განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი 18 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი 15 ივლისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე გიგაშვილი, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ აბდუშელიშვილი, სკოლა „შავნაბადა“.საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გია თოდუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ - „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი „ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო** საგანმანათებლო პროგრამა“ არის ახალი, თავად პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს, მდებარეობს ზემო აჭარიში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში და ამდენად, რეგიონში უმაღლესი განათლების მიმწოდებელი და რეგიონული და კულტურული დანიშნულების მატარებელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო** საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 18 ივნისს. ვიზიტი განახორციელა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დარგის ექსპერტები: ეკატერინე გიგაშვილი და მიხეილ გიორგაძე, დამსაქმებელი ავთანდილ აბდუშელიშვილი , სტუდენტი ექსპერტი-გია თოდუა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი თეა შაყულაშვილი.

ვიზიტის განხორციელებამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ონლაინ შეხვედრა, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ საერთო შეხედულებებისა და მიგნებების, კონკრეტული მიმართულებებისა და ინტერესების გათვალისწინებით გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები ადგილზე გადამოწმებისთვის. შემუშავდა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმდა დაწესებულებასთან; ადგილზე ვიზიტი განხორციელდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში, წინასწარ შემუშავებულ დღის წესრიგში დროის მცირედი ცვლილებით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიურ პერსონალისა და მოწვეულ სპეციალისტთა რეგიონის მასშტაბით გადაადგილებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფის გადამოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

1. საგანამანათლებლო პროგრამას აქვს ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას;

2. პროგრამის განხორციელება უმნიშვნელოვანესია რეგიონული თვალსაზრისით და ორიენტირებულია ზემო აჭარის მოსახლეობის განათლების შესაძლებლობების გაზრდასა და რეგიონში არსებული პედაგოგიური კადრების განახლებაზე;

3. პროგრამის შემუშავების პროცესი თანამონაწილეობითია და მასში ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები, რადგან სტუდენტები პროგრამას არ ჰყავს შესაბამისად, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ მომიჯნავე პროგრამის სტუდნტები და კურსდამთავრებულები;

4. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით შესაძლებელია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი კადრების მომზადება და შემდგომში მათი დასაქმება;

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზანი უმჯობესია მოკლედ, ლაკონურად იქნას ფორმულირებული;
- პროგრამის შემუშავების, განხორციელების ეტაპებზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა დოკუმენტური მტკიცებულებით იქნას დადასტურებული;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების თავსებადობის აღქმა გამარტივდეს რათა დაინტერესებულმა პირმა მარტივად შეძლოს პროგრამის სწავლის შედეგთან სასწავლო კურსის სწავლის შედეგის დაკავშირება;
- მკაფიოდ უნდა გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი და პერიოდულობა, რათა დადგინდეს როგორ იქნება გამოყენებული შეფასების შედეგები პროგრამის შესაძლო განვითარებისათვის;
- პროგრამის სწავლის შედეგების ერთი მხრივ მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და მეორე მხრივ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენისა და მოცემული სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია კონკრეტულად განისაზღვროს ის განზოგადებადი / გამჭოლი

კომპეტენციები, რომელიც განუვითარდებათ სტუდენტებს პროგრამაზე სწავლის პერიოდში.

- პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგია პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ კურსში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემათიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას. შესაბამისად, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შეფასების ისეთი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც შეფასდებოდა აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის დონე.
- პროგრამის სწავლის შედგებში უნდა დაემატოს მოსწავლეთა შეფასების საკითხები. აღნიშნული სწავლის შდეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
- მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის საკითხს უმჯობესია თუკი პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითი იქნება, რაც კვლევას უფრო რეალურ შედეგებს მოუტანს, ვიდრე არსებული კითხვარის შევსების ვალდებულებით მიღებული შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ქმედუნარიანობის თვალსაზრისით, გამოკითხვები, რომელიც უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება, უნდა გახდეს ანალიზის საგანი და გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით მოხდეს საჭიროებების დადგენა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. პროგრამის ბ) და გ) მიზნები ფაქტობრივად იმეორებს მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში, დამატებითი ინფორმაციის სახით არსებულ ჩანაწერს იმის შესახებ რას უნდა მოიცავდეს პროგრამა. პროგრამის მიზნის ფორმულირებისას სასურველია ყურადღება გამახვილდეს არა პროგრამის შინაარსობრივ ორიენტირებზე, არამედ იმაზე რა მიზნით შეიქმნა პროგრამა და რისი მიღწევა არის შესაძლებელი შემოთავაზებული პროგრამის ფარგლებში;
2. კვლევის ფორმატის გასაუმჯობესებლად, შედეგების და შემდგომ ანალიზის დოკუმენტების შედგენისას სასურველია იხელმძღვანელოს კვლევის დიზაინით და წინასწარ შერჩეული მეთოდოლოგიით ისე, რომ კვლევის ანალიზში ჩანდეს როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი მაჩვენებლები;
3. პროგრამის შესაბამისი ინგლისური ენის სილაბუსის შინაარსის ფორმირებისას დაწესებულებამ სასურველია იხელმძღვანელოს უცხო ენის ევროპული ჩარჩოს დონეებით და წინაპირობების ნაწილში გაითვალისიწინოს სტუდენტთა დიფერენცირებული შედეგები და შესთავაზოს დონის შესაბამისი ინგლისური ენის სასწავლო კურსი;
4. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავდეს ინფორმაციას, პროგრამის საჭიროების, შემუშავების და წარდგენის ინიცირების პროცესთან დაკავშირებით, კონკრეტულად ვის მიერ და რა პროცედურების გავლით ხდება პროგრამის შემუშავება და წარდგენა მის დამტკიცებამდე;

5. სასწავლო კურსი - უახლესი კვლევები განათლებაში, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად არის ჩასმული სასწავლო გეგმაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომამდე იყოს ჩასმული;
6. მოხდეს სტუდენტთა შეფასების ელექტრონული მომსახურების დანერგვა, კერძოდ, ნებისმიერ სასურველ დროს სტუდენტისთვის დისტანციურად, ონლაინ ხელმისაწვდომი იყოს მისი შეფასებები;
7. შეიქმნას პლატფორმა დისტანციურად საგნების არჩევისა და რეგისტრაციისათვის, განახლდეს სასწავლო კურსების ძირითადი საკითხავი ლიტერატურა. აუცილებელია ყველა ტიპის ძირითადი სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების არსებობა და სტუდენტებისთვის დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა;
8. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები მოცემულია ორ დოკუმენტში - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დებულება, რომელიც აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციას სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცესში და პროგრამის შემუშავების წესი, რომელიც აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს პროგრამის განხორციელების პროცესში. არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობას პროგრამის ინიცირებისა და მისი შემუშავების პროცესში. სასურველია, შეიქმნას ცალკე დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი როგორ ხდება პროგრამის ინიცირება, სასურველია ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული იყოს პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობები და მოვალეობები პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების ეტაპზე.
9. უნივერსიტეტის დონეზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყველაზე გავრცელებული აქტივობა ტრენინგები და კონფერენციებში მონაწილეობაა. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია, რომლითაც ის წაახალისებს აკადემიური პერსნალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობას.
10. უნივერსიტეტში არ არის დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. ბოლო დროს არსებულმა გამოწვევებმა, რაც განაპირობა საგანგებო მდგომარეობის პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელებამ, მნიშნელოვნად გაზარდა სასწავლო პროცესის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის აუცილებლობა, მით უფრო უნივერსიტეტის მდებარეობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების შეუფერხებლად ჩართვას სასწავლო პროცესის დაგემვაში, განხორციელებაში, მისი მიმდინარეობის ზედამხედველობასა და შეფასებაში.
11. ლიტერატურა განახლებას საჭიროებს და ასევე გასათვალისწინებელია ძირითადი ლიტერატურის დიგიტალური ვერსიების არსებობა საბიბლიოთეკო რესურსებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით;
12. სასურველია, პროგრამის შეფასება განეხორციელებინა რომელიმე იმ უნივერსიტეტს, რომელსაც ანალოგიური პროგრამის განხორციელების გამოცდილება უკვე აქვს.
13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ქმედუნარიანობის თვალსაზრისით, გამოკითხვები, რომელიც უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება, უნდა გახდეს

ანალიზის საგანი და გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით მოხდეს საჭიროებების დადგენა.

14. უნივერსიტეტში უნდა დამკვირდდეს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა და მოხდეს ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული ინფორმაციის შეგროვება შესაბამისი ინსტრუმენტებით, რომლის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება იქნება შემდგომი ინტერვენციის საფუძველი.
15. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების ეტაპზე, საჭიროების შემთხევაში უნივერსიტეტის იღებს პასუხისმგებლობას გამონახოს ხარჯები პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია წინამდებარე პროგრამისთვის შედგეს კონკრეტული ბიუჯეტი, მისი მდგრადობისა და შეუფერხებლად განხორციელებისათვის;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია, რომელიც დამტკიცებულია 2018 წლის 29 დეკემბერს რექტორის №01-03/26 ბრძანებით, ითვალისწინებს: „ ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, სულიერების ამაღლების და მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობისთვის ქმნის თანამედროვე საგანამანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს, სთავაზობს მაღალი ხარისხის საგანამანთლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, ხელს უწყობს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების და რელიგიური ტოლერანტობის მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას“. საგანამანთლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ეფუძნება უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და მიზნად ისახავს: **„ ა) მოამზადოს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის:** • **I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;** • **I-IV კლასის არჩევით: მე და საზოგადოების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის მასწავლებელი;** • **V-VI კლასის არჩევით: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, “ჩვენი საქართველოს“ მასწავლებელი, რომელსაც თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარ - ჩვევებითა და ღირებულებებით შეუძლია შეასრულოს თანამედროვე მასწავლებლის წარმატებული საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული ვალდებულებები, პასუხისმგებლობები.** **ბ) პროგრამა ორიენტირებულია სასკოლო პრაქტიკასა და კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც დაეხმარება სტუდენტებს სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის თავისი პროფესიული შესაძლებლობები განავითაროს სასკოლო პრაქტიკის კვლევაზე დაფუძნებით.** **გ) პროგრამაში გათვალისწინებულია მასწავლებლისათვის აუცილებელი ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარება, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, კრიტიკული დამოკიდებულებები, პრობლემის ხედვა, მისი მიზეზების შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი**

გადაწყვეტილების მიღების, თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის, ინფორმაციის მართვის უნარი, კვლევითი მუშაობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

დ) კურსდამთავრებულმა დაწეროს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი, შეძლოს პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში.

ე) შეძლოს პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში "

პროგრამის მიზანი ვრცლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა რეგიონის განვითარების ჭრილში რეალურ შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას მიიღოს განათლება უფასოდ ლოკალურ გარემოში.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გადმოტანილია დარგობრივ მახასიათებლით მისაღწევი კომპეტენციები, თუმცა რეალურად რამდენად მიღწევადი იქნება პროგრამის განხორციელების ეტაპზე აღნიშნული კომპეტენციების გამომუშავება, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პროგრამა დამტკიცებული სახით განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

დაწესებულების პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ინიცირების, შემუშავების და დამტკიცების პროცედურები მათი ჩართულობითა და მონაწილეობით იქნა განხორციელებული, თუმცა მტკიცებულებები ამასთან დაკაშირებით, სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი, მხოლოდ ინტერვიუირებით იქნა დადასტურებული დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამტკიცებამდე, შემუშავებული პროგრამის პირველადი ვერსიის განხილვასთან დაკავშირებით დამსაქმებელთა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით სხდომის ოქმები; აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადგინდა რეგიონში მასწავლებელთა ნაკლებობა და განსაკუთრებით მთიან აჭარაში გარკვეული მიმართულებებით მასწავლებელთა არ არსებობა, რაც აქტუალურს ხდის პროგრამის განხორციელების საჭიროებას. დაწესებულებამ, მასწავლებელთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპეტივის შესაძლებლობის ფარგლებში ორი მიმართულებით გამოიკვლია დასაქმების ბაზარი:

- დაადგინა მოქმედ მასწავლებელთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში;

კვლევის მიზნად განსაზღვრა მოქმედ მასწავლებელთა რაოდენობის დადგენა ასაკობრივ ჭრილში. კვლევის შედეგად, რომელიც ზემო აჭარის საგანამანთლებლო დაწესებულებებში სკოლის დირექტორების, რესურსცენტრის წარმომადგენლების და სტუდენტების ჩართულობით განხორციელდა, გამოიკვეთა რომ მასწავლებლის ასაკი რეგიონში არაერთგვაროვანია, კერძოდ, მასწავლებელთა 40% არის 35-55 წლის, 20% არის 55-60 წლის, ხოლო დანარჩენი 40% მასწავლებლების კატეგორიაში შედიან საპენსიო ასაკის და საკმაოდ „მხცოვანი" მასწავლებლებიც. (კვლევა ჩატარებულია 2018 წლის ივნისი-ოქტომბრის განმავლობაში);

- დაადგინა მასწავლებელთა რაოდენობები კატეგორიის/სტატუსის მიხედვით;

კვლევის მიხედვით, ზემო აჭარაში საკმაოდ დაბალია მენტორ და წამყვან მასწავლებელთა რაოდენობა (0.2%-ია მენტორი და 0.4%- წამყვანი) 16%-ს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი ხოლო პრაქტიკოს მასწავლებელთა საერთო რაოდენობა 84% შეადგენს.

კვლევებზე დაყრდნობით დაწესებულება მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მომზადების მიმართულების გაძლიერება, ხელმისაწვდომობა და ამ გზით რეგიონში განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამსაქმებლების, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით განხორციეებული „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან შესაბამისობის“ კვლევაც., რომლის საფუძველზეც გამოკვეთა პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციები; სულ პროგრამისთვის განისაზღვრა და შეჯერდა ექვსი სწავლის შედეგი. დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის გაფორმებული მემორანდუმები(როსტოვის და რუმინეთის უნივერსიტეტები) რომლებიც სამომავლო პერსპეტივებში მიზნად ისახევენ ორმხრივ თანამშრომლობას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები; ✓ პროგრამის მიზნები; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ უნივერსიტეტის მისია; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები; ✓ ვებგვერდი; ✓ დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ✓ პროგრამის შემუშავების, განხორციელების ეტაპებზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა უმჯობესია დოკუმენტური მტკიცებულებით იქნას დადასტურებული;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ პროგრამის ბ) და გ) მიზნები ფაქტობრივად იმეორებს მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში, დამატებითი ინფორმაციის სახით არსებულ ჩანაწერს იმის შესახებ რას უნდა მოიცავდეს პროგრამა. პროგრამის მიზნის ფორმულირებისას სასურველია ყურადღება გამახვილდეს არა პროგრამის შინაარსობრივ ორიენტირებზე, არამედ რისთვის შეიქმნა პროგრამა და რისი მიღწევა არის შესაძლებელი შემოთავაზებული პროგრამის ფარგლებში; ✓ კვლევის ფორმატის გასაუმჯობესებლად, შედეგების და შემდგომ ანალიზის დოკუმენტების შედგენისას იხელმძღვანელეთ კვლევის დიზაინით და თქვენ მიერ წინასწარ შერჩეული მეთოდოლოგიით, ასევე კვლევის ანალიზში უნდა ჩანდეს რაოდენობრივი ასვე თვისებრივი მაჩვენებლები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ეფუძნება დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავების პრინციპს და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებაზეა ორიენტირებული.

პროგრამას აქვს ექვსი სწავლის შედეგი, რომლებიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„ I შედეგი განზოგადებული სწავლის შედეგები

II შედეგი სასწავლი საგნის /საგანთა ჯგუფის საგნობრივი კომპეტენციები.

III შედეგი პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება.

IV შედეგი მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება,

IV.1 შედეგი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა.

IV.2 შედეგი სასწავლო პროცესის შეფასება

V შედეგი პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა .

VI შედეგი სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა“.

პროგრამისთვის ფორმულირებული სწავლის შედეგები მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის და თითქმის მიუყვება მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მსხვილი კომპეტენციების სფეროებს. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგად ასევე განსაზღვრულია განზოგადებული სწავლის შედეგების მიღწევა, რომელიც, დაწესებულების ხედვით, დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კურსდამთავრებულის მიერ ზოგადი კომპეტენციების დემონსტრირებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, კვლევითი კომპონენტის და

კვლევითი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, მაგრამ ფორმულირებულია როგორც სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. ამიტომ სასურველია არსებობდეს მკაფიო და ლოგიკური კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსებსა და პროგრამის ფორმატით განსაზღვრულ აქტივობებს შორის, კერძოდ: სწავლის შედეგი შესაძლოა ფორმულირდეს როგორც კვლევითი უნარების განვითარება, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი და მისი დაცვა იქნება არა სწავლის შედეგი, არამედ კვლევითი უნარის გამომუშავების შესაბამისი ინდიკატორი.

პროგრამის სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების საკითხებს. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია სტუდენტებში - მომავალ მასწავლებლებში ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციის განვითარება, როგორიცაა მოსწავლეთა შეფასება ესგ-სთან მიმართებაში, შეფასების ტიპების, პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა. მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე ადაეკვატური რეაგირება. მაგალითად, პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი-„ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის შეფასების გაგების მეთოდები“ ერთერთ საკითხად განიხილავს სასკოლო შეფასების მეთოდებს ესგ-სთან მიმართებაში და ასევე შეფასების მეთოდების სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხებს. აღნიშნული თემებისთვის მხოლოდ ორი საათია დათმობილი, რაც ვფიქრობთ არაა საკმარისი მომავალი მასწავლებლისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის- მოსწავლეთა შეფასების სისტემის შესასწავლად.

პროგრამის სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებისა და კვლევების შესახებ ცოდნის შეძენის შესაძლებლობას. პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში არ არის ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც შესაბამის თემატიკას მოიცავს.

პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ასევე ინფორმაციას სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო საათების შესახებ. სასწავლო გეგმაში არსებული სასწავლო კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით შეესაბამება სილაბუსში მითითებულ მონაცემებს. დაცულია წინაპირობების განაწილება სასწავლო გეგმაში. ასევე ყველა სწავლის შედეგის შეფასებისთვის ცალ-ცალკე დანართების სახით წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების კავშირი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. აღსანიშნავია, რომ თითოეულ სილაბუსში ამ დანართთან დაკავშირებით იძებნება ცალკე ჩანაწერი, თუმცა სტუდენტისთვის, ან ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მსგავსი საძიებო სისტემა რთულად აღიქმება; პროგრამას თან ახლავს რექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საერთო წესი, რომელსაც ცალკე სწავლის შედეგების შეფასების, მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი არ აქვს.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ სამომავლო გეგმაში აქვთ სამიზნე ნიშნულებთან დაკავრებული მექანიზმების შემუშავება პროგრამის განხორციელების ეტაპზე. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი შეფასების ფორმები. სასწავლო კურსების მიხედვით ჩანს, რომ შეფასების მიზნით სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იზიარებენ შეფასების მეთოდებს და იღებენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვის და ანალიზისთვის. მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში გაბნეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში რამდენიმე პირის მიერ. მაგალითისთვის განვიხილოთ პროგრამის სწავლის შედეგი IV შედეგი - მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება ინდიკატორებით. აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის გაზომვისთვის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართი 2-ის მიხედვით და ასევე პროგრამაში შემავალ სამი სასწავლო კურსის ბაზაზე შესაძლებელია აღნიშნულ სწავლის შედეგის ნაწილის, შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ამოკითხვა- იდენტიფიცირება, ესენია: სასწავლო გარემო, ბავშვის სწავლისთვის მომზადება; აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას, პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების გარდა, აქვს საკუთარი სკოლა, სადაც რეალურ გარემოში და ყოველდღიურად აქვთ სტუდენტებს შესაძლებლობა იყვნენ ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, თავად დააკვირდნენ სააღმზრდელო და სასწავლო პროცესებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და რეალურად შეიგრძნონ სკოლა- როგორც ცოცხალი ორგანიზმი და იკვლიონ საკუთარი პრაქტიკა. სასწავლო კურსები, რომლებშიც ფაქტობრივად ჩაშენებულია პრაქტიკის საათები, არის პედაგოგიური ციკლის ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: ზოგადი პედაგოგიკა(7 საათი), განვითარებისა და სწავლების თეორიები (5 საათი), ინკლუზიური განათლება (7 საათი) და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამის სწავლის შედეგები; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამის მიზნები; ✓ ვებგვერდი; ✓ მომიჯნავე პროგრამის სტუდნეტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები; ✓ პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განაწილების შესაბამისი დანართები; ✓ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების თავსებადობის აღქმა გამარტივდეს რათა დაინტერესებულმა პირმა მარტივად შეძლოს პროგრამის სწავლის შედეგთან სასწავლო კურსის სწავლის შედეგის დაკავშირება.
2. მკაფიოდ უნდა გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი და პერიოდულობა, რათა დადგინდეს როგორ იქნება გამოყენებული შეფასების შედეგები პროგრამის შესაძლო განვითარებისათვის
3. პროგრამით გათვალისწინებულია მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება. პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსი ან მასში შემავალი თემათიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა სასწავლო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებული კომპეტენციის განვითარებას. შესაბამისად, პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსი ან თემატიკა, რომლის ფარგლებშიც შეფასდებოდა სასწავლო პროცესის შეფასების კომპეტენცია.
4. პროგრამის სწავლის შედგებში უნდა დაემატოს მოსწავლეთა შეფასების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება უნდა მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში, განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

●**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,		√		

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია, მიესადაგება პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მათი წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამითა და სასწავლო გეგმით უცხო ენის/ ინგლისურის შესწავლა განსაზღვრულია 15 კრედიტის ფარგლებში. ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მიღებული სტუდენტი ჯერ იწყებს 5 კრედიტიანი ინგლისური ენის შესწავლას, რის შედეგადაც შედეგადაც, პროგრამის მიხედვით აღწევს A1- A2 დონეს, შემდეგ 10 კრედიტიანი უცხო ენა ისწავლება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი აღწევს B1-B2. პროგრამის ხელმძღვანელთან, ინგლისური ენის მასწავლებელთან გასაუბრებით, რატომ ხდება ეროვნული გამოცდების შედეგების საუძველზე (რომელიც უკვე აღიარებს A1- A2 დონეს) ისევ ინგლისურის იმავე დონეზე სწავლა, განმარტეს რომ მთიანი აჭარიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის მაინც გამოწვევას წარმოადგენს უცხო ენა, შესაბამისად მათთვის მნიშვნელოვანია უცხო ენაში ცოდნის განმტკიცება. ექსპერტთა კითხვაზე, როგორ ადგენს დაწესებულება სტუდნეტთა ცოდნის არათანაბარ დონეს და რის მიხედვით ხდება სტუდენტთა ჯგუფების ფორმირება ინგლისური ენის სასწავლო კურსის შესასწავლად, მივიღეთ განმარტება, რომ ატარებენ ტესტირებას, თუმცა არ უფიქრიათ იმ საკითხზე

სიღრმისეულად რა პოლიტიკა ექნებათ იმ სტუდენტთა მიმართ, ვინც დიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში დაბალ დონეს გამოამჟღავნებს ან პირიქით უსწრებს შეთავაზებულ დონეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ✓ ვებგვერდი; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: .
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის შესაბამისი ინგლისური ენის სილაბუსის ფორმირებისას დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს უცხო ენის ევროპული ჩარჩოს დონეებით და წინაპირობების ნაწილში გაითვალისიწინონ სტუდენტთა დიფერენცირებული შედეგები და დონის შესაბამისად შესთავაზონ ინგლისური ენის შესწავლა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავებამდე განსაზღვრულია მისი ფორმატი, შეფასების წესი, შემუშავებისა და განხორციელების თავისებურებები, შემადგენელი კომპონენტი, სილაბუსის რეკომენდებული ფორმა, სასწავლო გეგმის ფორმატი, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული და მონაწილეთა წრე და ა.შ.

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ფორმატი არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამის შემუშავების ინიცირების შესახებ, კონკრეტულად ვის მიერ ხდება პროგრამის შემუშავების ინიცირება და მის შემუშავებასა და დაგეგმვის ეტაპამდე ვის მიერ (სტრუქტურული ერთეული ან/და კონკრეტული დაინტერესებული პირი) და რა ფორმით ხდება პროგრამის წარდგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთანაც დაისვა კითხვები, თუმცა ვერც ინტერვიუირების ეტაპზე შეძლო ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის შემმუშავებლის და წარმდგენის თანმიმდევრობის დაზუსტება.

პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებული დადგენილი წესის შესაბამისად. შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კვლევით კომპონენტს. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნებთან. თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტზე დაშვების პირობები მისაღებია. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის სტუდნეტისათვის მნიშვნელოვანია კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რაც შესაბამისი სასწავლო კურსებით არის შესაძლებელი. სასწავლო გეგმაში სამაგისტრო ნაშრომზე სტუდნეტს მუშაობა უწევს მე-10 სემესტრში, სასწავლო კურსის - „უახლესი კვლევები განათლებაში“ - სასწავლო კურსის პარალელურად. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა უფლებას თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში აირჩიონ მათთვის სასურველი საგანი შეთავაზებული საგნებიდან.

პროგრამა განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სილაბუსები;

- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ ვებგვერდი;
- ✓ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- ✓ გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავდეს ინფორმაციას, პროგრამის საჭიროების, შემუშავების და წარდგენის ინიცირების პროცესთან დაკავშირებით, ვის მიერ და რა პროცედურების გავლით ხდება პროგრამის შემუშავება და წარდგენა დამტკიცებამდე;
- სასწავლო კურსი - უახლესი კვლევები განათლებაში, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად არის ჩასმული სასწავლო გეგმაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომამდე იყოს ჩასმული;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსის სტრუქტურა დამტკიცებულია. შეესაბამება სასწავლო გეგმას და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის დასახელება, სტატუსი, ავტორი, საკონსულტაციო დრო, სასწავლო კურსის მიზანი, კრედიტების ოდენობა, სასწავლო კურსის ფორმატი, დაშვების წინაპირობები, შინაარსი, სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგები, ცოდნის შეფასების ფორმები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი კომპეტენციებია გადმოტანილი. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ აკადემიურ პერსონალს აქვს კომპეტენციების გამომუშავებისთვის გამოცდილება, რაც გამოიკვეთა გასაუბრების ეტაპზეც. ყოველი კომპეტენციის გამომუშავებისთვის სილაბუსში მითითებულია შესაბამისი თემატიკა, თუმცა იმის დადგენა, რამდენად არის შესაძლებელი რეალურ გარემოში მითითებული კომპეტენციების გამომუშავება, არის სასწავლო პროცესში შეფასების საკითხი. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას;

საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციის განვითარება, როგორიცაა მოსწავლეთა შეფასება ესგ-სთან მიმართებაში, შეფასების ტიპების, პრინციპებისა და მეთდების ცოდნა. მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე ადაეკვატური რეაგირება. პროგრამის არც ერთი კურსი არ ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ✓ გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფორმატი მოიცავს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც საკუთარი სკოლის ბაზაზე აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული პირების უმრავლესობა არის მენტორი მასწავლებელი, რომლებსაც თავად აქვთ პრატიკული უნარების გამომუშავების კომპეტენცია და შეუძლიათ მოქმედი სტუდენტების სასკოლო სიტუაციებში აქტიურად ჩართვა. პრაქტიკის ელემენტები გათვალისწინებულია თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსით, მაგალითად: სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია საათების განაწილების გრაფაში, რომ სტუდნეტი 10 საათს გაატარებს სკოლაში. სილაბუსში მითითებული ინფორმაცია გადამოწმდა ინტერვიუს ეტაპზე როგორც მასწავლებლებთან, ასვე მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და დადგინდა, რომ სწორედ საკუთარი სკოლის ბაზაზე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ფაქტობრივად რეალურ გარემოში გაატარონ გარკვეული დრო და პროცესებზე დაკვირვებით თავადვე მოახდინონ საკუთარი ცოდნის პროდუცირება. გარდა საუნივერსიტეტო სკოლის ბაზაზე ყოველდღიური და ინტენსიური თანამშრომლობისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა რეგიონის მასშტაბით გაიარონ პრაქტიკა ზემო აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში. საჯარო სკოლებთან გაფორმებულია თანამშრომლობის

მემორანდუმი. სკოლის დირექტორებთან, როგორც დამსაქმებლებთან, გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საჭიროება საკმაოდ მაღალია, ამავე დროს, მათ ისაუბრეს უნივერსიტეტთან მათი მიმდინარე თანამშრომლობის სარგებელზე და შემდგომი თანამშრომლობის საჭიროებაზე, იმ აქტივობებსა და შესაძლებლობებზე, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს ზემო აჭარის სკოლებს. სკოლის დირექტორებმა ასევე აღნიშნეს რეგიონის განვითარებისთვის მასწავლებელთა გამოცდილება და სტატუსის მნიშვნელობა. გაფორმებულია ტიპიური ხელშეკრულებები ზემო აჭარის შვიდ სკოლასთან, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზანი და ფორმატიც, თუმცა არ ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას.

სტუდენტთა სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების გათვალსაზრისით, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის კვლევით აქტივობებსა და კონფერენციებში მათი ჩართულობა უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები, და ა.შ.
- ✓ პრაქტიკის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები;
- ✓ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.
- ✓ სწავლება-სწავლის მეთოდები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლება სწავლის მეთოდები, რომლებიც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში საკმაოდ მრავალფეროვანია, შეესაბამება სასწავლო კურისი მიზნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გარდა საკონსულტაციო საჭიროებებისა, სტუდენტებს მუდმივ რეჟიმში აქვთ მათ შესაძლებლობა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მიიღონ დამატებით მხარდაჭერა აკადემიური ან/და მოწვეული სპეციალისტებისგან, ასევე საუნივერსიტეტო სკოლის მასწავლებლებისგან და ამით დაიკმაყოფილონ სწავლასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებული საკუთარი ინტერესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ✓ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- ✓ ვებგვერდი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება ● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური და ფინალური შეფასებებისგან. თავის მხრივ, შუალედური შეფასება მოიცავს სხვადასხვაგვარ აქტივობებს, როგორიცაა: სემინარები, პრეზენტაციები, ქეისების ანალიზი, შუალედური წერითი გამოცდები. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია სტუდენტთათვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ საგნების არჩევის დროს გაეცნონ სილაბუსების შინაარს, წინასწარ მოიპოვონ ინფორმაცია კონკრეტული საგნის კონტენტისა თუ შეფასების კრიტერიუმების შესახებ. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტები მიღებულ შეფასებებს არ ეთანხმებიან, აღნიშნულ პროგრამაზე არსებობს აპელაციის მექანიზმი, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაასაჩივრონ რომელიმე კონკრეტული შეფასება თუკი ისინი მას არ ეთანხმებიან. მომიჯნავე პროგრამის სტუდნეტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა უნივერსიტეტის პრაქტიკა, საკონტაქტო საათების გაცდენასთან მიმართებაში, კერძოდ: ლექციის გაცდენის შემთხვევაში, ლექტორები სტუდენტებთან შეთანხმებით, მათთვის სასურველ და ხელმისაწვდომ დროს ნიშნავენ საკონპენსაციო ლექციებს. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ძალიან ყურადსაღები გარემოება, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა არ აქვთ კონკრეტულ მომენტებში დისტანციურად გაეცნონ თავიანთ არსებულ შეფასებებს და მათ უდგათ საჭიროება, ყოველი სალექციო დღის შემდეგ თავად ჩაინიშნონ მიღებული შეფასება ან ლექტორს დაუკავშირდნენ შეფასების გასარკვევად.

აღნიშნული მიგნებები გამომდინარეობს წარმოდგენილ დოკუმენტთა შესწავლისა და აკადემიურ პერსონალთან, ასევე მომიჯნავე პროგრამის სტუდნეტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიური პერსონალთან ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები ✓ პროგრამის დოკუმენტი ✓ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მოხდეს სტუდენტთა შეფასების ელექტრონული მომსახურების დანერგვა, შეიქმნას პორტალი, რომელიც მოახდენს სტუდენტების მიერ მიღებული შეფასებების აკუმულირებას რათა, ნებისმიერ დროს სტუდენტისთვის დისტანციურად, ხელმისაწვდომი იყოს მისი შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ ეტაპზე პროგრამას სტუდენტი არ ჰყავს. მიუხედავად ამისა, პროგრამის დაგეგმვის პროცესში კარგი იქნებოდა თვითშეფასების ჯგუფში მოწვეული და ჩართული ყოფილიყო მომიჯნვე პროგრამის სრუდენტი.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზოგადად უნივერსიტეტის პრაქტიკა ითვალისწინებს პროგრამის შეფასების კითხვარებს, რომლითაც სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსები და მათ ხელმძღვანელეი ფასდებიან. სტუდნეტებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ ამ კითხვარების შევსება სავალდებულოა თუმცა ანონიმური, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს შეფასების შედეგებზე. უმჯობესია კვლევებში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყოს, რაც მიღებული მონაცემების ობიექტურობის და ვალიდურობის ხარისხს გაზრდის.

სტუდენტისათვის ყველა ლექტორთან კონსულტაცია ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში თუ გაჩნდება ლექტორთან კონსულტაციის, კვალიფიციური ინფორმაციის მიღების აუცილებლობა. პროგრამისთვის განსაზღვრულია კვირის განმავლობაში საკონსულტაციო საათები, რაც ასევე დეტალურადაა გაწერილი ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდნეტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ რეგიონში ინტერნეტ რესურსების გამოყენება შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია და ისინი თავისი პროგრამის ფარგლებში იყვნენ ჩართული ონლაინ სწავლების პროცესში. ექსპერტების მიერ გადამოწმებული ლიტერატურის უდიდესი ნაწილის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, თუმცა ამ ეტაპზე, ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურის მხოლოდ ბეჭდური ფორმით არსებობს და ელექტრონული ვერსიის არ არსებობის გამო სტუდენტებს უწევთ ადგილზე მისვლა. ძირითადი საგნების სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის მცირე ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას თანამედროვე ლიტერატურით ან ციფრული მატარებლებით. ასევე, აუცილებელია დაინერგოს და ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის ონლაინ სასწავლო კურსების არჩევა და რეგისტრაცია, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტში მიუსვლელად, მარტივად და კომფორტულად, დისტანციურად გაიარონ ზემოთ აღნიშუნული აუცილებელი პროცედურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ინტერიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით;
- ✓ სილაბუსები
- ✓ თვითშეფასების დოკუმენტი
- ✓ მემორანდუმები

რეკომენდაციები:

- პროგრამის განხორციელების ეტაპზე, მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის საკითხს, უმჯობესია თუკი პროგრამის მიერ განხორციელებულ კვლევებში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითი იქნება, რაც კვლევას უფრო რეალურ შედეგებს მოუტანს, ვიდრე ამ კითხვარის შევსების ვალდებულებით მიღებული შედეგები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შეიქმნას პლატფორმა დისტანციურად საგნების არჩევისა და რეგისტრაციისათვის;
- განახლდეს კურსების ძირითადი საკითხავი ლიტერატურა;
- აუცილებელია ყველა ტიპის ძირითადი სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებისა და სტუდენტების მიერ მათზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობის არსებობა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავს მაგისტრანტი სტუდენტები და, შესაბამისად, არ გააჩნია სამაგისტრო ნაშრომები.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან 6 პროფესორია, ხოლო 7 ასოცირებული პროფესორი, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ, რათა უხელმძღვანელონ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელების ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დებულება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის განმახორციელებლი პირები : პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის თანახელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ჩართულები არიან პროგრამის შემუშავების პროცესში; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები მოცემულია ორ დოკუმენტში - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დებულებაში, რომელიც აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციას სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცესში და პროგრამის შემუშავების წესში, რომელიც აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს პროგრამის განხორციელების პროცესში. პროგრამის შემუშავების წესის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი: • მონაწილეობს, კოორდინაციას უწევს და გასცემს რეკომენდაციებს პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით; • უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკის კომპონენტების განხორციელებაზე კონტროლს;

• მონაწილეობს და ხელს უწყობს პროგრამის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების განხორციელებას, ასევე პროგრამის განხორციელების, ცალკეული სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკის კომპონენტის შეფასებაში.

არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობას პროგრამის ინიცირებისა და მისი შემუშავების პროცესში.

სასურველია, შეიქმნას ცალკე დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები. სასურველია ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული იყოს პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებლობები და მოვალეობები პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პროცესში.

როგორც მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების (ავტობიოგრაფიები) შესწავლისას, გამოიკვეთა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ძირითად შემთხვევაში, ადგილობრივ სამეცნიერო საუნივერსიტეტო ჟურნალშია გამოქვეყნებული. ნაშრომების (სტატიების) თემატიკა, ძირითად შემთხვევაში, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო ცოდნას და კომპეტენციას. კერძოდ ნაშრომების უმეტესობა ეხმიანება როგორც საგნობრივ კომპეტენციას, ასევე საგნის სწავლების მეთოდიკას / დიდაქტიკას.

ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის არც ერთი ნაშრომი არ არის, რომელიც ეყრდნობა სოციალურ მეცნიერებებში გავრცელებულ კვლევის უახლესი მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომების, სტატიების მიგნებები, თითქმის ყველა შემთხვევაში, სამაგიდე კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დანაკლსის შევსების მცდელობაა, პროგრამის განხორციელებაში პრაქტიკოსი მასწავლებლების ჩართვა. კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან ყველა არის პრაქტიკოსი მასწავლებელი. გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ისინი ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და ჩართულები არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში. ვიზიტის დროს აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალიდან ყველას მოპოვებული აქვს მენტორი მასწავლებელის სტატუსი. აღნიშნული ადასტურებს, რომ მათ სკოლებში ჩატარებული აქვთ პედაგოგიური პრაქტკის კვლევა როგორც საკუთარი პრაქტიკის, ასევე სკოლის საჭიროებებზე და ფლობენ პრაქტიკის კვლევისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. გარდა ამისა, ისინი აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში გათვალისწინებულ პროფესიული განვითარების აქტივობებში (ტრენინგები, კონფერენციები და ა.შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება იმის დასაბუთება, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები იქნებიან, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დიზიანის რელევანტური კვლევის მეთოდების ცოდნისა და ამ ცოდნის შესაბამისი გამოცდილების მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელებით. სამეცნიერო ხარისხის გათვალისწინებით კი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (13 აკადემიური პერსონალი) და მათი სამუშაო დატვირთვა შეესაბამება მაგისტრანტების რაოდენობას და არ შექმნის სმაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელების დეფიციტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პერსონალი. მათ შორის 6 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 5 მოწვეული პერსონალი. აღნიშნული რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართბაში და უზურნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ყავს ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, დგინდება, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით. მისი სამეცნიერო შრომები - სტატიები ძირითად შემთვევაში, განათლების, კერძოდ კი, მეთოდიკის საკითხებზეა. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის მიერ მოწოდებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, ის პროგრამის შემუშვებაში აქტიურად არ იყო ჩართული.

მომიჯნავე პროგრამების აქტიური სტუდენტების რეფლექსია მათი მხარდამჭერი სერვისებისა და შესაბამისი პერსონალის მომსახურების შესახებ ადასტურებს მათ კმაყოფილებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისინი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს მიმართავენ. აღნიშნული პირი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. კურსის შინაარსთან, მიმდინარე აქტივოებებთან და დავალებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით ლექტორებს განსაზღვრული აქვთ საათები ინდივიდუალური შეხევდრებისთვის.

ინტერვიუს დროს სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გარდა ინდივიდუალური საათებისა, ნებისმიერ დროს შეუძლიათ ლექტორს შეუთახნმდნენ დამატებით შეხვედრებზე და მათთვის მოსახერხებ დროს შეხვდნენ მას.

სტუდენტები ვერ იხსნებენ ასევე შემთხვევას, როდესაც მათ შეფასება გააპროტესტეს და ლექტორისგან შედეგის დასაბუთება მოითხოვეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი მცირეკონტიგენტიანია და სწავლებისა და მხარდაჭერის ინდივიდუალური მიდგომა დამკვიდრებული პრაქტიკაა და უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის ერთ-ერთი მახასიათებელია. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი ჩართული ადმინსიტრაციულ საქმიანობაშიც. აკადმიური პერსონალი ჩართულია პროგრამების, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის ხელშემწყობ აქტივობებში - შეხვედრები აბიტურირენტებთან და ა.შ. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმების ადგილები (საჯარო და კერძო სკოლები) უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების პოპულარიზაციის პლატფორმას წარმოადგენს, რაც დაადასტურა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ✓ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ✓ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები მოცემულია ორ დოკუმენტში - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დებულება, რომელიც აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციას სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცესში და პროგრამის შემუშავების წესი, რომელიც აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს პროგრამის განხორციელების პროცესში. არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ აღწერს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობას პროგრამის ინიცირებისა და მისი შემუშავების პროცესში. სასურველია, შეიქმნას ცალკე დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი როგორ ხდება პროგრამის ინიცირება, სასურველია ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული იყოს პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობები და მოვალეობები პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების ეტაპზე. წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსტიტეტს შემუშავებული აქვს და დანერგვის პროცესშია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი. აღნიშნული მექანიზმების მიხედვით, უნივერსიტეტი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტის აკადემიურ და უნივერსიტეტთან აფილირებულ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს. აკადმიური და უნივერსიტეტთან აფილილრებული პერსონალის შემთხვევაში აქცენტირებულია პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის საუნივერსიტეტო საქმიანობასა და ამ საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, რეგულაცია და შესაბამისი ინსტრუმენტი აფასებს მათ მიერ შესრულებული საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგად მიღწეული შედეგების ხარისხსს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული რეგულაციები ახალი შემუშავებულია და დადგენილი კრიტერიუმებით ჯერ არ მომხდარა აკადმიური პერსონალის შეფასება. შესაბამისად, უნივერსიტეტში ჯერ არ არსებობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პრაქტიკა. მისი დანერგვა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გამოწვევას წარმაოდგენს.
უნივერსიტეტის ადამინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სწორედ აღნიშნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო პერსონალის

საჭიროების იდენტიფიცირებას და შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობების - ტრენინგების, კონფერენციების და სხვ. დაგეგმვას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში იმართება პროფესიული განვითარების ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, თუმცა აღნიშნულის დადასტურება ვერ ხდება ოფიციალური გადაწყვეტილებებით ან/და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების ამსახველი დოკუმენტაციით. უნივერსიტეტის დონეზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყველაზე გავრცელებული აქტივობა ტრენინგები და კონფერენციებში მონაწილეობაა. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია, რომლითაც ის წაახალისებს აკადემიური პერსნალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების დოკუმენტი; ✓ ინტერვიუს შედეგები; ✓ პერსონალისპირადი საქმეები; ✓ პერსონალის შეფასების წესი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უნივერსიტეტის დონეზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყველაზე გავრცელებული აქტივობა ტრენინგები და კონფერენციებში მონაწილეობაა. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია, რომლითაც ის წაახალისებს აკადემიური პერსნალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო რესურსით ნაბეჭდ და ზოგ შემთხვევაში ელექტრონული მატარებლების სახით. შერჩევითად სასწავლო კურსებში მითითებული ლიტეარტურის ადგილზე გადამოწმებით დადასტურდა ლიტერატურის არსებობა, თუმცა მითითებული ლიტერატურა განახლებას საჭიროებს და ასევე გასათვალისიწნებელია დიგიტალური ვერსიების არსებობა საბიბლიოთეკო რესურსებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით; მატერიალური და ტექნიკური რესურსით. ინტერვიუების მიმდინარეობისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევარჩიეთ სასწავლო კურსის სილაბუსი და გადავამოწმეთ აღნიშნული კურსისთვის გათვალისწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის საშუალებით. შერჩეული სახელმძღვანელოების ნაწილი ხელმისაწვდომი იყო ელექტრონულად. ნაწილი კი, ინახება ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანდო ტექნიკით და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია საბიბლიოთკო რესურების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის დაწყებისას საორიენტაციო შეხვედრებზე, ინფორამცია ეგზავნებათ მეილის საშუალებით. უნივერსიტეტში არ არის დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. ბოლო დროს არსებულმა გამოწვევებმა, რაც განაპირობა საგანგებო მდგომარეობის პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელებამ, მნიშნელოვნად გაზარდა სასწავლო პროცესის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის აუცილებლობა. მით უფრო უნივერსიტეტის მდებარეობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების შეუფერხებლად ჩართვას სასწავლო პროცესის დაგემვაში, მისი მიმდინარეობის ზედამხედველობასა და შეფასებაში. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერით, მონიტორით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. სტუდენტებისთვის განკუთვნილია ასევე თავისუფალი სივრცე. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ასევე სტუდენტთა საცხოვრებელი, სადაც ცხოვრობენ ის სტუდეტები, რომლებიც შორი მანძილიდან მოდიან. აღნიშნულ სივრცით და საჭირო კომუნალური მომსახარუება სტუდენტებისთვის უფასოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასება;
- ✓ ინტერვიუები;
- ✓ საუნივერსიტეტო სივრცის დათვალიერების შედეგები;
- ✓ მატერიალურ ტექნიკურ ბაზის აღრიცხვის დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტში არ არის დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. ბოლო დროს არსებულმა გამოწვევებმა, რაც განაპირობა საგანგებო მდგომარეობის პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელებამ, მნიშნელოვნად გაზარდა სასწავლო პროცესის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის აუცილებლობა. მით უფრო უნივერსიტეტის მდებარეობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების შეუფერხებლად ჩართვას სასწავლო პროცესის დაგემვაში, მისი მიმდინარეობის ზედამხედველობასა და შეფასებაში.
- ლიტერატურა განახლებას საჭიროებს და ასევე გასათვალისწინებელია ძირითადი ლიტერატურის დიგიტალური ვერსიების არსებობა საბიბლიოთეკო რესურსებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

● **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამა სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ. პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ბიუჯეტი გარკვეული ხარჯებით, ასევე ადმინისტრაციასთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ შემოსავლების შეფერხების ან შემცირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზად არის არ შეაფერხოს პროგრამის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ხარჯები გამოყოს საერთო ბიუჯეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ ინტერვიუს შედეგები; ✓ თვითშეფასება
რეკომენდაციები: • მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების ეტაპზე, საჭიროების შემთხევაში უნივერსიტეტის იღებს პასუხისმგებლობას გამონახოს ხარჯები პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია წინამდებარე პროგრამისთვის შედგეს კონკრეტული ბიუჯეტი, მისი მდგრადობისა და შეუფერხებლად განხორციელებისათვის; წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადმიური და მოწვეული პერსონალი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ხარისხის ურუნველყოფის მექანიზმები უნივერსიტეტის ავტორიზაციის მიზნებისთვის ახალი შექმნილია და დანერგვის პროცესშია. ჯერ არ არსებობს მათი გამოყენების გამოცდილება. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტში წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა გარკვეულ გამოწვევას წარმაოდგენს.

ხარისხის გასაზომად და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტთა გამოკითხვას განახლებული ინსტრუმენტებით ყოველი სემესტრის ბოლოს.

მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სტუდენტები სემესტრის ბოლოს აფასებენ ლექტორს, სასწავლო კურსს და საშუალება ეძლევათ ღია კითხვების ნაწილში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის ყველა კომპონენტის შესახებ. სტუდენტთა გამოკითვა ხორციელდებოდა აქამდე არსებული მექანიზმებითა და შესაბამისი ინსტრუმენტებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტები ანკეტებს იღებენ ნაბეჭდი სახით და არა ელექტრონულად. სასუსრველია, სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ანკეტირება მეტი სანდოობისთვის, განხორციელდეს ელექტრონულად.

ხარისხის უზურნველყოფის სახმსახურს შემუშავებული აქვს დებულება, რომელიც აღწერს სასწავლო პროცესის იმ სფეროებს, რომელთა შეფასება და ხარისხის კონტროლიც განხორციელდება აღნიშნული სასმახურის საქმიანობის შედეგად. აღნიშნულ დებულებაში ასახულია უნივერსიტეტის ფუნქციონირების თითქმის ყველა კომპონენტი - სასწავლო კურსების შინაარსის და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა, კვლევების ჩატარება და სხვ.

ინტერვიუს შედეგად აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტში არ მოიპოვება ინფორმაცია აქამდე ჩატარებული გამოკითხვების შესახებ. გამოკითხვები სისტემატიურად ტარდება, თუმცა არ ხდება ამ ინფორმაციის ანალიზი და ანალიზზე დაყრდნობით საჭიროებების დადგენა. უნივერსიტეტში არ არის დამკვირდებული ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოხდეს ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული ინფორმაციის შეგროვება შესაბამისი ინსტრუმენტებით, ამ ინფორმაციის პერიოდული ანალიზი, ანალიზზე დაყრდნობით კი საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ინტერვენციების დანერგვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები;
- ✓ თვითშეფასება

რეკომენდაციები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ქმედუნარიანობის თვალსაზრისით, გამოკითხვები, რომელიც უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება, უნდა გახდეს

ანალიზის საგანი და გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით მოხდეს საჭიროებების დადგენა.

- უნივერსიტეტში უნდა დამკვირდდეს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა და მოხდეს ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული ინფორმაციის შეგროვება შესაბამისი ინსტრუმენტებით, რომლის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება იქნება შემდგომი ინტერვენციის საფუძველი.

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის;

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

● **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი.
როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, აღნიშნული პროგრამის შეფასება არ მოხდა სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფში თავად შედიან სფეროში დასაქმებული ადამიანები - პრაქტიკოსი მასწავლებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- ✓ თვითშეფასება
- ✓ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნებოდა პროგრამის შეფასება განეხორციელებინა რომელიმე იმ უნივერსიტეტს, რომელსაც წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების გამოცდილება უკვე აქვს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა. ახლად შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზემებზე დაყრდნობით იგეგმება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების შეკრება და შეჯერება.

დაგეგმილია ასევე კვლევის მასალების შეგროება და გაანალიზება რომლის შედეგების გამოიყენებაც არის დაგეგმილი პროგრამებში ცვლილებების განსახორციელებლად.

პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. შეფასების შედეგები დინამიურად აისახება პროგრამებში. კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის ფარგლებში რეალური და განხორციელებადი სწავლის შედეგების გასაზომად.

რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზის საგანს უნივერსიტეტში წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების (ქულების) და დასაქმების მაჩვენებლები.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ახალია და უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა უშუალოდ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, თუმცა პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მასზე გავრცელდება ზემოაღნიშნული წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ✓ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;
- ✓ არ არსებობის შემთხვევაში, კოლეგიალური შეფასების დასკვნა და დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ✓ ლექციაზე დაკვირვების ფორმა;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
- ✓ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- ✓ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ● **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44 (ორმოცდაოთხი)

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე გიგაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა  მიხეილ გიორგაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ავთანდილ აბდუშელიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა გია თოდუა